ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გამგეობა

G E O R G I A
BOARD OF CHOKHATAURI
MUNICIPALITY

N——— *„———„ ————————* *2015წ.*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ბატონო ზაალ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრი“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრი“-ს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის დროს წესდების ახალ რედაქციაში იურიდიულ მისამართად მითითებული იყო დაბა ჩოხატაური, ნოდარ დუმბაძის ქუჩა N28. აღნიშნულ მისამართზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ვერ დადგინდა სარგებლობის ან საკუთრების უფლება, რის გამოც მოხდა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრი“-ს იურიდიული მისამართი არის დაბა ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა N 35, რაც გახდა წესდებაში ცვლილების შეტანის საფუძველი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

დანართი: 1 ფურცლად.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **ირაკლი კუჭავა**

დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; ტელ: 790 959737; Chokhatauri distict, Akaki Tsereteli st. N2; tel: 790 959737;
E-mail: chokhatauri.board@yahoo.com